ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №8047157

ნომერი: AR11154337

თარიღი : 27.07.2026

გაცემის თარიღი : 21.08.2026

გაცნობის თარიღი : 21.08.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კახეთი , მე-20 კილომეტრი , მიმდებარე ტერიტორია;

დამკვეთი-განმცხადებელი

- შადიმან კორძაძე პ/ნ 17001000182
- თბილისი, დიღმის მასივი კვ. 4. ბინა N7.

ნომენკლატურა :

- დამხმარე - ტექნიკური შენობები
- III კლასი
- დემონტაჟი
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შ.პ.ს ფრანკო
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 431171199
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: კარპეზი შუკაკიძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 35001022099

.სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები.:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 6390.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 1067.46
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 6084.43

- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 5550.7
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 533.73
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 11.82
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 11.32
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 0.5

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის№255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

ვბრძანებ

1. შეთანხმდეს ქ. თბილისში, გზატკეცილი კახეთი , მე-20 კილომეტრი , მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ N 01.19.15.001.127) არსებული შენობა/ნაგებობის (N : 1/1; 2/0; 3/1; 4/2) დემონტაჟის პროექტი.
2. გაიცეს დემონტაჟის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალოს დემონტაჟის სანებართვო მოწმობა.
3. დემონტაჟის ვადა განისაზღვროს 2026 წლის 21 აგვისტოდან 2027 წლის 21 აგვისტოს ჩათვლით.
4. დამკვეთი ვალდებულია სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე სამშენებლო მოედანზე იქონიოს სადემონტაჟო დოკუმენტის სათანადოდ დამოწმებული ეგზემპლიარი, კანონით გათვალისწინებული სრული შემადგენლობით,პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით, მათ შორის:
4.1. „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების შესაბამისად დემონტაჟის ორგანიზაციის სრულყოფილი პროექტი და თვალსაჩინო ადგილას გამოკრული საინფორმაციო აბრა;
4.2. სადემონტაჟო სამუშაოები განხორციელდეს სამშენებლო რეგლამენტით გათვალისწინებული უსაფრთხოების ნორმის დაცვით და უზრუნველყოფილ იქნას მომიჯნავე შენობის კონსტრუქციული მდგრადობა.
4.3. სადემონტაჟო სამუშაოები განხორციელდეს ტერიტორიაზე არსებული კომუნიკაციების დაუზიანებლად.
4.4. მიწისზედა/მიწისქვეშა ხაზობრივი ნაგებობების არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი მესაკუთრის თანხმობა/ნებართვა

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- მშენებლობა განხორციელდეს წარმოდგენილი კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.